



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 12

„ 11 „ აპრილი 2019 წ.

**დადგენილება № 55**

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის თამარ თეთრამის 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფარვის შესახებ.

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 27 მარტის N7 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“ 41-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტზე თამარ თეთრამეზე გავრცელდეს „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით“ გათვალისწინებული სტუდენტური შეღავათი და მისი 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის საფასური დაიფაროს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს: თამარ თეთრამეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, იურიდიულ ფაკულტეტს, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებას, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს.
4. საფუძველი: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის N60 დადგენილება.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
 სპიკერი, პროფესორი

ლავრენტი ჩიბურდანიძე